F 2698 ~ 13720

გურიის ერობის მოამბე

№ 1

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

ხუთშაბათი 1 იანვარი 1920 წელი ქ. ოზურგეთი

1 იანვარი 1920 წ.

თუ წინათ, ძველი წესწყობილების დროს, ერობა იყო ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელშიაც თავს იყრიდა მაშინდელი მოწინავე საზოგადოების საუკეთესო ელემენტები, რომ დაესკვნათ საძირკველი ხალხის მომავალი ბედნიერებისათვის, დღევანდელი საქართველოსათვის ერობა არის ის ყავარჯენი, რომელზედაც უნდა ერთიანათ დაეყრდნოს ჩვენი დემოკრატიის საუკეთესო შვილთა სისხლით მოპოვებული და ძვლებით გამაგრებული დემოკრატიული რესპუბლიკა.

არც ერთი წყობილება არ შეიძლება გამაგრდეს სახელმწიფოში, თუ მას მხარს არ უჭერს ქვეყნის დემოკრატია, მცხოვრებთა უმეტესობა.

ჩვენს დედა ქალაქ თბილისში გვყავს მთელი ჩვენი ერის დემოკრატიის მტკიცე ნების გამომხატველი ცენტრალური მთავრობა—დამფუძნებელი კრება და მისგან არჩეული მინისტრები, რომელთა თავდადებული შრომით და ბრძნული წინდახედული პოლიტიკით არა ერთხელ გადარჩენილა დაღუპვის კარებზე მიმდგარი გემი ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობისა, მაგრამ სახელმწიფოს აღმშენებლობითი მუშაობაში ცენტრალური მთავრობის მუშაობა მაშინ აღწევს მიზანს, როცა მის გვერდით დგას ერის დემოკრატია, ხალხი, მასსა, დარაზმული და მტკიცეთ შეკავშირებული თვით სახალხო ორგანიზაციებში. **„მთავრობას არ ეშინია ხალხის გაძლიერების, ამიტომ იგი ცდილობს გააძლიეროს თემები და შემდეგ შეაკავშიროს ისინი მძიერ ერობათა ცენტრში“** ამბობს მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოს დემოკრატიის ჭაღარა ბელადი **ნ. ჟორდანია**

დიაღ, ხალხის არჩეულ მთავრობას ხალხის არ ეშინია და ამიტომაც ჩვენმა მთავრობამ მოაწყო ქალაქის თვითმმართველობანი და ერობები, ეს ხალხის არდგილობრივი ორგანიზაციები და მიანიჭა მათ არა მარტო თვითმმართველობის, არამედ მმართველობის უფლებები.

მაგრამ უფლების მოპოვება არ არის იმდენათ ძნელი, როგორც მისი მოხმარა —რომ დემოკრატიული რესპუბლიკა გამტკიცდეს იქ, ცენტრში, აუცილებლათ საჭიროა, რომ ის დამკვიდრდეს თვით ჩვენი მოქალაქის თავში აქ, პერიფერიებში. ეს მიზანი კი მაშინ იქნება მიღწეული, თუ ჩვენი ერი მტკიცეთ შეკავშირდება თემში და სამაზრო ერობებში. თემი თვითმართველობის პირველი საფეხურია და როგორც ასეთი ის ხალხთან პირდაპირ დგას, სამაზრო ერობა მათი გამაერთიანებელი ორგანოა. ორთავე ესენი კი სახელმწიფოს საძირკველია.

და რადგანაც საძირკველის სიმტკიცეზე და სიძლიერეზეა დამყარებული კედლების ბედ—იღბალი, ამიტომ ჩვენი სახელმწიფოს გამაგრება და გაძლიერება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ მტკიცე ნიადაგზე იქნება აშენებული ეს ორგანოები. ეს კი დღევანდელ პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ ამავე დროს ფრიად სერიოზული და ძნელი საქმეა. ქვეყნის ინტერესი მოითხოვს რომ თითოეულ ამ ორგანოს თავისი ადგილი ქონდეს მიჩნეული, ემსახურებოდეს გარკვეულ მიზანს და აკეთებდეს განსაზღვრულ საქმეს—ერთი მეორეს საქმეში არ უნდა ერევოდეს და არც თავის გასაკეთებელ საქმეს სხვას აწოდებდეს.- შრომა და პასუხის გება მიზანშეწონილათ უნდა იყოს განაწილებული და მაშინ ხალხიც იცნობს ამ ორგანიზაციებს, თვისად გაიხდის, მტკიცედ შეკავშირდება მათში და სძლევს ყოველგვარ დაბრკოლებას ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეში.-

იურიდიულ ფორმებში ეს ორგანიზაციები ჯერ არ არიან ჩამოყალიბებული. ეს ფორმები თვით ამ ორგანოების პრაქტიკულმა მუშაობამ უნდა ჩამოასხას, ამიტომ ორკეცი სიფრთხილეა საჭირო ამ მუშაობაში.

სამაზრო ერობა და თემები ზღაპრული თავგამოდებით ეწევიან მუშაობას ხალხის საკეთილდღეოთ, მაგრამ ეს მუშაობა ჯერ კიდევ ვერ არის ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის მიერ. საჭიროა ამ მოღვაწეობის გამოაშკარავება, დღის სინათლეზე გამოტანა და ხალხის დასანახათ გახდენა, ასევე საჭიროა თვით ხალხის დამოკიდებულების გარკვევა ერობისადმი.–

ამ მიზნით ოზურგეთის სამაზრო ერობა სცემს **,,გურიის ერობის მოამბეს‘‘**. გაზეთი მიაწვდის მკითხველ საზოგადოებას ერთის მხრივ დაწვრილებითი ცნობებს ერობისა და თემის მოღვაწეობის შესახებ, მეორე მხრივ შეძლებისდაგვარათ დაეხმარება თემებს სავალი გზების გაკვლევაში, ისწავლის ცხოვრების საჭიროებას ხალხთან დაახლოვებით, გაარკვევს თემთან დამოკიდებულებას მათი საჭიროების ახლო გაცნობით. ამით ის ორ მიზანს მიაღწევს: თავათაც დაიკავებს შესაფერ ალაგს და თემსაც გაუშუქებს სავალ გზებს სახელმწიფო აღმშენებლობაში. თუ ეს ორგანო ოდნავ მაინც დაუახლოვდება ამ მიზანს, ისიც დიდი საქმის გაკეთება იქნება დღევანდელ პირობებში.—

სამაზრო ერობის მოღვაწეობა

აგრონომიულ დარგში.

—აგრონომიულ დახმარების საქმის მოწყობას ოზურგეთის სამაზრო ერობა შეუდგა მიმდინარე წლის 1 აპრილიდან, ამ დღიდან ჩაეყარა საფუძველი იმ ორგანიზაციას, რომელიც მოწოდებულია ფართე დახმარება გაუწიოს ხალხს, როგორც საზოგადოთ ეკონომიურ სფეროში, ისე კერძოთ სასოფლო მეურნეობაში. ერთი შეხედვით გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ასეთი საჭირო ორგანიზაციის შექმნა ასე დააგვიანა ერობამ, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ განსაკუთრებულ პირობებს, როგორშიაც წარმოიშვა გურიის ერობა და იმ პირობებს, რომელშიც იმყოფებოდა თვით ხალხი ოსმალეთის ჯარის გასვლის შემდეგ. მაშინ აშკარა იქნება, რომ, გურიის ერობას არ ქონდა საშუალება პირველი ნაბიჯები ასეთ რთულ საქმეში, როგორიც არის აგრონომიული დახმარების საქმე, უფრო ადრე გადაედგა; მან დიდი სიფრთხილე და წინდახედულობა გამოიჩინა ამ საქმეში და, სანამ აგრონომიულ განყოფილების მოწყობას შეუდგებოდა, 1918 წლის 10 ნოემბერს მოიწვია თათბირზედ ქუთაისის გუბერნიაში მომუშავე აგრონომები და ინსტრუქტორები, სადაც გამომუშავებულ იქმნა ის სამოქმედო ხაზი, რომელიც უნდა აელო ერობას სასოფლო მეურნეობაში. როგორც ამ თათბირზე გამოირკვა ერობამ განსაკუთრებული მზრუნველობა და მფარველობა უნდა გაუწიოს გურიაში შემდეგ სასოფლო მეურნეობის დარგებს: 1, ხვნა-თესვას, 2, საქონლის მოვლა მოშენებას სავეტერინარო საქმის რიგიანათ დაყენებით, 3, **მეაბრეშუმეობას**, 4, მეფუტკრეობას, 5, მებაღეობას, 6, მებოსტნეობას და მათი ნაწარმოების ტეხნიკურ გადამუშავებას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფასიან მცენარეების გაშენებას: ჩაი, მანდარინა, ბამბუკი, დაფნა და თამბაქო; ტეხნიკურ მცენარეების მოშენებას: კანაფი, სელი, ჰინჰარი, და სამკურნალო მცენარეების მოშენება. —ძაღლ-ყურძენა კატაპარია და სხვა.—აგრეთვე თათბირმა ერობის ყურადღება მიაქცია მაზრაში შინამრეწველობის განვითარებას: ჭილოფების ქსოვას, მეჭურჭლეობას, კალათების ღობვას და სხვა, როგორც ნაცადს და ხალხისათვის სასარგებლოს დღევანდელ პირობებში. ამავე თათბირზე გამოითქვა ის აზრი, რომ გურია, ჰავის, ნიადაგის და ამა თუ იმ სასოფლო მეურნეობის დარგის გავრცელების მიხედვით დაიყოს შემდეგ ოთხ აგრონომიულ რაიონათ:

1. რაიონი, ზღვის პირი, ან ჩრდილო ვაკე გურია, რომლის საზღვრებში შედის შემდეგი თემები: ნიგოითი, ლანჩხუთი, შუხუთი, ჩიბათი, ჯურუყვეთი, სუფსა და ნატანები. უმთავრესი მცენარე სიმინდი.

2, რაიონი წითელი მიწის ზონა, რომლის საზღვრებში შედის შემდეგი თემები: მიქელ-გაბრიელი, ჩოჩხათი, ჯუმათი, აცანა და აკეთი. უმთავრესათ ამ რაიონს ახასიათებს შემდეგი მცენარეების კულტურა: ჩაი, მანდარინა, ბამბუკი და სხვა და სხვა ხეხილები.

3, რაიონი ოზურგეთის, რომლის საზღვრებში შედის გურიანთის, ლიხაურის, შემოქმედის, დვაბზუს და ბახვის თემები; დამახასიათებელი კულტურა: ჩაი, მანდარინა, ბამბუკი, თხილი და სხვა ხეხილები.

4, რაიონი ჩოხატაურის ამ რაიონში შედის მთელი ჩოხატაურის უბანი. დამახასიათებელი კულტურა: თუთუნი, ვენახი, და სხვა და სხვა ხეხილები. ეს რაიონი მომავალში გაიყოფება ორ რაიონათ სურების და ბახმაროს საძოვარი ადგილების გამოყოფით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მესაქონლეობას. ამავე თათბირზე შემუშავებულ იქმნა შტატი აგრონომიულ პერსონალისა, აგრონომიულ რაიონისათვის, რომელიც უნდა შესდგებოდეს ერთი რაიონის აგრონომისაგან, ორი ინსტრუქტორისაგან და არა ნაკლე სამი აგრონომიულ ტეხნიკებისაგან.

მიიღო რა მხედველობაში აგრონომიულ თათბირის მოსაზრებანი, გამგეობამ აპრილში შექმნა მასთან ეკონომიური განყოფილება აგრონომიული

ნაწილით. მოწვეულ იქმნა ამა თვიდან მაზრის აგრონომი, ოთხი სასოფლო მეურნეობის ინსტრუქტორი, ოთხი აგრონომიული ტეხნიკი, ერთი მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი და ერთიც შინა მრეწველობის ინსტრუქტორი. დღიდან დაარსებისა ეკონომიური განყოფილება გრძნობდა, რომ საჭირო იყო დაეკავშირებია კავშირი მაზრის კულტურულ და ეკონომიურ ძალებთან, რომ ამით საშუალება მისცემოდა განყოფილებას დაახლოვებოდა ფართე მასსას. ამისათვის განყოფილებამ გადასწყვიტა დაეარსებია მასთან მუდმივი სათათბირო ორგანო ეკონომიური საბჭოს სახით, რაც სისრულეში მოიყვანა მიმდინარე წლის ივლისში. ეკონომიური საბჭოს შემადგენლობა შემდეგია: სამი ერობის ხმოსანი, მთელი აგრონომიული პერსონალი, განყოფილების საქმის მწარმოებელი, სტატისტიკოსი, ექიმ-ვეტერინარი, შინა მრეწველობის ინსტრუქტორი, მაზრაში არსებული კოოპერატივთა კავშირის, საკრედიტო და სამეურნეო ამხანაგობათა წარმომადგენელი, მიწად-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი, კერძო მეურნენი და გამგეობის მიერ მოწვეულნი მეურნე სპეციალისტები. საბჭომ ამოირჩია ბიურო, რომელსაც ევალება საბჭოთა დადგენილების ცხოვრებაში გატარების თვალ-ყურის დევნა.

გაგრძელება იქნება.

ეკონომიური განყოფილება

— სამაზრო ერობამ დაუკვეთა მაზრისთვის მომარაგების მთავარ სამმართველოს მთავარ რწმუნებულს 1920 წლისათვის შემდეგი აბრეშუმის ჭიის თესლი: ყვითელი იტალიის ჯიშის „გრან-სასო", „ასკოლი" და „პასკვალი"— 4000 კოლოფი და თეთრი „ბაღდადის"— 4000 კოლოფი სულ კი 8000 კოლოფი.

— სამაზრო ერობამ გახსნა ქალ. ოზურგეთში სადურგლო სახელოსნო, სადაც ამზადებენ დაზგებს საფეიქროებისათვის და სხვა და სხვა ნივთებს. აღნიშნულ სახელოსნოში შეიძლება დაკვეთა და შეძენა დაკლებულ ფასებში ყოველ-გვარ ასეთი ნივთებისა.—

— სამაზრო ერობამ შეიძინა მაზრისათვის, გორის სამაზრო ერობისგან სათესლე ხორბალი ოქტომბერში, რომელიც უკვე მიიღო და დღემდის დაურიგა აგრონომიულ პუნქტებს და კერძო პირებს დასათესათ—სულ 513 ფუთი და 37 გირვანქა.

— ერობის აგრონომიულმა განყოფილებამ გამოიწერა ეროკავშირისაგან მაზრისათვის 400 ფუთი შაბიამანი, 500 ფუთი გოგირდი და 4 ფუთი პარიჟის ფხვნილი, რომლებიც დაურიგდება ხალხს ფულზე.—

— აგრონომიულმა განყოფილებამ დათესა აკეთის საჩვენებელი ნაკვეთი პურით სივრცით 25 ქცევამდე, მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მოიყვანოს ჩვენი კუთხის ჰავასან შეგუებული სათესლე პური.

აგრარული რეფორმა.

ამიერ—კავკასიის კომისარიატის 1917 წ. 16 დეკემბრის და სეიმის 1918 წ. 7 მარტის კანონების თანახმათ ოზურგეთის მაზრა დაიყო ათ საგრარიო რაიონათ:
1) ოზურგეთის, 2) გურიანთის, 3) ნატანების, 4) სუფსის, 5) ჯურუყვეთის. 6) ლანჩხუთის, 7) ნიგოითის, 8) აკეთის, 9) ბასილეთის, და 10) ნანეიშვილისეულის.

ხსენებულ საგრარიო რაიონებში, ნანეიშვილისეულის საგრარიო რაიონის გამოკლებით, დაიწყო მიწების ჩამორთმევა ამა წლის 15—23 ივნისიდან.

ოზურგეთის საგრარიო რაიონის კომისიაში მუშაობენ: მიწისმზომელი ა. პ. მაქაცარია, მდივანი ა. სიხარულიძე და საზოგადოების რწმუნებული ს. ღლონტი.

გურიანთის მიწისმზომელი მ. მახარაძე, მდივანი დ. აბაშიძე და საზოგადოების რწმუნებული ა. კვერღელიძე.

ნატანების მიწისმზომელი ა. ნეჩაევი, მდივანი კ. ვაშალომიძე და საზოგადოების რწმუნებული მასწ. ჩხაიძე.

სუფსის მიწისმზომელი ანისიმოვი, მდივანი ნ. კვერენჩხილაძე და საზ. რწმუნებული ა. მდინარაძე.

ჯურუყვეთის მიწისმზომელი ბახტაძე, მდივანი ს. ქავჯარაძე და საზ. რწმუნებული ე. მითაიშვილი.

ლანჩხუთის მიწისმზომელი ა. გოგვაძე, მდივანი ა. ჩხარტიშვილი და საზ. რწმუნებული ნ. იმნაიშვილი.

ნიგოითის მიწისმზომელი ტერ-ოგანეზოვი, მდივანი ი. კეჭეყმაძე და საზ. რწმუნებული ს. სურგულაძე.

აკეთის მიწისმზომელი ე. რუხაძე, მდივანი მ. ჯიბლაძე და საზ- რწმუნებული ს. პატიეიშვილი.

ბასილეთის მიწისმზომელი კ. ქარცივაძე, მდივანი ი. თავამაიშვილი და საზ. რწმუნ. ს. წიტაიშვილი.
ამ ჟამათ სრულიად დამთავრებულია მიწის ჩამორთმევა ოზურგეთის, აკეთის, ბასილეთის, ჯურუყვეთის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიგოითის და ლანჩხუთის საგრარიო რაიონებში. აგრეთვე დაამთავრა კომისიამ მუშაობა სუფსის რაიონში, გარდა ს. ებალაურში მდებარე მამულებისა, რაზედაც ებალაურის მცხოვრებლებმა აღძრეს საჩივარი მთავრობის წინაშე, რის გამო მიწების ჩამორთმევა შეჩერებულია საკითხის გარჩევამდის; ლანჩხუთის რაიონის კომისიამ კონფისკაცია დაამთავრა, მაგრამ კომისია განაგრძობს გასულ წელს ჟორდანიებისაგან ჩამორთმეულ მამულების აქტების გასწორებას; დანარჩენ: ნატანების და გურიანთის რაიონებში მიწის ჩამორთმევა არ დამთავრებულა. ამ რაიონებში კონფისკაცია მოსალოდნელია დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში, თუ კარგი ამინდი იქნება და მუშაობაც სისტემატიურად იწარმოებს. გადარიცხულია სახელმწიფო ფონდში ყველა რაიონების კომისიების მიერ ჩამორთმეული მამულები ოცდა ერთი ათასი (21,000) დესიატინა მიწა. ერობის გამგეობის დადგენილებით მოწვეულია 1920 წ. იანვრის 4 დღესა ყველა საგრარიო რაიონების მდივინები, კომისიის ერთი წევრი და ყველა თემებიდან სახალხო სკოლების თითო მასწავლებელი მიწათ მფლობელთა და მიწით სარგებლობის სტატისტიკური ცნობების მოსაკრებ ბლანკების შესასწავლად და სამუშაო გეგმის დირექტივების მისაღებათ. იმ რაიონებში, სადაც კონფისკაცია არ დამთავრებულა, გამგეობის დადგებილებით მუშაობა არ შეწყდება და იქნება ყოველი ზომა მიღებული, რომ რაც შეიძლება ადრე იქნეს დამთავრებული ეს სამუშაო.

გზები. ერობის ტექნიკურმა განყოფილებამ გაძოიკვლია გეგმა და შემდეგი გზები: 1, გათხრილის **გზა** სიგრძით 8 ვერსი, (აკეთის კანცელიარიიდან შუხუთამდე). 2, აკანის გზა სიგრძით 8 ვერსი (შუხუთიდან აკეთის კანცელიარიამდე) 3, ასკანის გზა მანძილით 8 ვერსი მიმართულებით—ბახვის წყალი მთის პირი, კაპ. ასათიანის ეზო, გვაბრეთი (ნინიძის სახელობის სამკითხველო ივანე მეგრელაძის ეზომდე).

4, საჭამიას სერიდან საxევახო—ჩოხატოურის გზატკეცილამდე (დაგეგმულია მხოლოდ ნაწილი)

5, ნატანებ—ოზურგეთის რკინის გზა.

გზის გეგმა შეადგინა სპეციალურათ ამისათვის მოწვეულმა ინჟინერმა პროსინსკიმ ერობის ტექნიკური განყოფილების დახმარებით—(დაწვრილებით ამ საკითხზე იქნება ცალკე წერილი.)

6, დიდი ქვიანიდან სამებაში მიმავალი გზის ნაწილი.—

წინასწარი გამოკვლევებია შემდგარი შემდეგი გზების: 1 სუფსა—ორმეთი—სუსკურა—კონჭკათი—გურიანთა—ციხისფერდი—ოზურგეთ—ჯაჭ 33 ვერსის მანძილით 2, ვანისქვდის გზა 3 ვერსის მანძილით.

3, ნიგოითი—ჭანჭათ-ნაგომრის **გზის ნაწილი** მანძილით 7 ვერსი.

4, **გულიანი**—ჩოჩხათის **გზის**, **სიგრძით 8 ვერსი.**

5, თოგლისა და ცუდი ამიდების **გამო შეჩერებულია** უკვე **დაწყებული** გამოკვლევა სურების **გზისა.**—

სკოლები. —პირველ დაწყებითი **სასწავლებლის** გამგეებს ერობის **სასკოლო** განყოფილებამ **მოსთხოვა** ხელსაქმის **განყოფილების** შესახებ **შემდეგი** ცნობები:

1, რამდენი მოწაფე ირიცხება განყოფილებაში,

2, რა მასალა მუშავდება გაკვეთილებზე,

3, შეიძლება თუ არა იქმნას **შეგროვებული** შპაგატით ფეხსაცმელების **დამზადება**, სიმინდის ქურჩელასაგან კალათების წენა, ჭილოფვბისა **და** სხვა. განყოფილების აზრით საზოგადოთ **უნდა** იქმნას სკოლებში **შემოღებული** ისეთი მასალის **დამუშავება**, **რომლის** შეძენა **მოწაფეებს** ადვილათ **შეუძლიათ** **და** **დამზადებულ** ნივთებსაც ექნება ფართე **პრაქტიკული** მნიშვნელობა. **შესაძლებელია** **დამზადებულ** ნივთებს გასავალიც დაურჩეს **და** **სასწავლებელს** **საშუალება** **მიეცემა** **შემოსავლის** **წყაროც** **გაიჩინოს.** **სასურველია** **ყველა** **სასწავლებლებში** **იქმნას** **შეკრებილი** **მოწაფეების** **მიერ** **დამუშავებული** **ნივთების** **სანიმუშო** **კოლექცია** **და** **გადმოიგზავნოს** **ის** **განათლების** **განყოფილებაში.**—

— **როგორც** **შენიშნულია**, **მასწავლებლები** **ხშირათ** **მოგზაურობენ** **ოზურგეთში** **და** **ნებადაურთველად** **სტოვებენ** **სკოლებს.** **განათლების** **განყოფილება** **აქცევს** **მათ** **ყურადღებას** **ამ** **გარემოებაზე** **და** **სთხოვს** **მათ** **დამოკიდებულება** **იქონიონ** **მიწერ-მოწერით** **და** **პირადი** **ჩამოსლისთვის** **კი** **იქონიონ** **წინასწარი** **ნებართვა** **განათლების** **განყოფილებიდან.**

— **გურიის** **ყველა** **სკოლებში** **სწავლა** **შეწყდა** 1919 **წ.** 30 **დეკემბერს**, **უნდა** **განახლდეს** 1920 **წ.** **იანვრის** 15 **ახალი** **სტილით.**—

სკოლების **საყურადღებოთ** **იბეჭდება** **შემდეგი** **საეკლესიო** **დღესასწაულებისა:**

იანვარი: 1 ახალი წელიწადი, **7 და 8** **შობა** ქრისტესი, 19 **ნათლისღება** **უფლისა.**

მარტი: 12 **რევოლიუციის** **დღე.**

აპრილი: 7 **ხარება** **ყოვლად** **წმიდა** **ღვთის** **მშობლისა**, 19—**შაბათი** **ვნების** **კვირისა**, **და** **ორშაბათი** **აღდგომის** **კვირისა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაისი: 1—მუშათა ინტერნაციონალი, 26—საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, 29—ამაღლება უფლისა.

ივნისი: 1—დღე სულის წმიდის მოფენისა.

სექტემბერი: 21—შობა ყოვლად წმიდა ღვთის მშობლისა და ყველა კვირა დღეები.

სანიტარული გადასახადი.

სანიტარული გადასახადი—პირველი საერობო გადასახადია. იგი მხოლოდ 1919 წლისათვის არის შემოღებული, ვინაიდან მომავალ 1920 წლისთვის უნდა გამოვიდეს კანონი, რომელიც საბოლოოდ განსაზღვრავს სახელმწიფო დ საერობო გადასახადებს.

განზრახულია ყოველივე ისეთი გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ქონებასთან (მაგალითად მიწის შემოსავალი, ვაჭრობის შემოსავალი და სხ.) ერობის განკარგულებაში გადავიდეს, ცენტრალურ მთავრობის ხელ'ში კი დარჩეს მხოლოდ შემოსავალზე გადასახადი და აქციზის შემოსავალი.

სანიტარული გადასახადი უკვე გაწერილია ყველგან: ქალაქში და სოფლად.

ოზურგეთის მაზრის საერობო ყრილობამ გაწერა მაზრაში 1.729.000 მანეთი; გადასახადი შეეწერა თემებს, რომლებსაც დაეგზავნა დაწვრილებითი ინსტრუქცია, საერობო ყრილობის მიერ მიღებული, თუ როგორ უნდა მოხდეს თემის ფარგლებში გადასახადის გაწერა და აკრეფა.

ერობის გამგეობის წევრმა ჩამოიარა თითქმის ყველა თემები, ადგილობრივ გაეცნო გადასახადის გაწერის საქმეს. იგი დარწმუნდა, რომ ამ გადასახადს გურიის ხალხი შეხვდა სრულიად შეგნებულად და გადასახადიც აუცილებლად შემოვა დადებულ ვადაზე.

გადასახადი შეტანილ უნდა იქნეს თემის გამგეობის კასაში არა უგვიანეს 30 დეკემბრისა. თვით თემის გამგეობა კი ვალდებულია შეიტანოს შემოსული გადასახადი ერობის კასაში არა უგვიანეს 1920 წლის 5 იანვრისა.

საერობო ყრილობის დადგენილებით ერობის გამგეობა გადაარიცხავს სათანადო თემის გამგეობის განკარგულებაში შემოსულ გადასახადის 20%.

საუბარი მკითხველთან

1

გადასახადზე

მართალია ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკა გავიჩინეთ, ერობა შემოვიღეთ და ვაშენებთ საქართველოს იმ წესით, რომ ალთქმულ ქვეყანაში, შედნიერების სამეფოში უფრო იოლათ შეიძლებოდეს შესვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრს ჩვენგანს კერძო საკუთრების პრინციპზე აღზრდილს და გაწრთვნილს ცალმხრივი მიმართულება გვაქვს, ყველაფერს გამოსარჩენის წერტილიდან უცქერით—თუ არ ვამბობთ, გულში მაინც ვფიქრობთ.—მასალები და საუკეთესო ის წესწყობილებაა, რომელიც მე მომასვენებს, წესრიგს შემიქმნის, თავისუფლებას დამიმკვიდრებს, სასურველს შემპირდება და გადასახადს კი ერთს გროშს არ გადამახდიებსო. და ის კი გვავიწყდება, რომ სინამდვილეში ჩვენ ჯერ არ მოგვსწრია ისეთი სასწაული, რომ არაფრიდან რამე გამოსულიყოს, გვავიწყდება, რომ არაფრიდან რამეს შექმნა ძველი ალთქმის ზღაპარია, ოცნებაა, თავის მოტყუებაა და ასეთი შეხედულება დაუბრუნებლათ უნდა ჩაბარდეს წარსულს. დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქემ პირველად ყოვლისა ამ სენიდან უნდა გაინთავისუფლოს თავი.

ეს მაინც ხომ ვიცით, რომ ვინც ოჯახს—კიდებს ხელს, მას საამისო შეძლებაც უნდა ქონდეს. —სხვისი ლოგინის იმედით ცოლი არ მოიყვანება. ვისაც სურს გაიჩინოს საკუთარი მმართველობა და სახელმწიფო, მან უპირველესად ყოვლისა უნდა იზრუნოს ამ მმართველობისა და სახელმწიფოს შესანახ საშუალების გამონახვაზე.

როგორც ოჯახს ინახავს ოჯახის წევრთა ჯიბე, ისე ერობას—თვითმმართველობას და სახელმწიფოს, როგორც ხალხისაგან არჩეულ დაწესებულებებს და ხალხის ინტერესების მოსამსახურეს, უნდა ინახავდეს თვითონ ხალხი.

ესკიმოსებმა და ველურებმა, ტყეში რომ დარბიან, სახელმწიფო და საერობო გადასახადის არაფერი იციან, მაგრამ თუ გადასახადს არ იხდიან, სამაგიეროთ მათ არც ოჯახი, არც თვითმმართველობა, არც სახელმწიფო გააჩნიათ. დაწინაურებული ქვეყნების ხალხს: ფრანგებს, ინგლისელებს, გერმანელებს, ამერიკელებს გადასახადი ბევრი აქვთ, სამაგიეროთ მათ სახელმწიფოს და თვითმმართველობის აპარატებიც მძლავრი აქვთ.

ბრძოლაში გამობრძმედილ და ბრძენ ბელადთა წინამძღოლობით და დემოკრატიის სახელოვანი ბრძოლით ჩვენი საქართველოს დამოუკ[illegible] მაშინ გამოიჭედა, როცა მსოფლიო ომმა დაანგრ[illegible] უზარმაზარი სახელმწიფოები, აოხრა და გაანადგურა მრავალი საუკუნოებით შექმნილი კულტურა; ისეთი სახელმწიფოც კი განწირულთა ქვეყნათ აქცია, როგორიც იყო დიდი და მძლავრი რუსეთი. ჩვენ გვაქვს საკუთარი სახელმწიფო, მაგრამ არა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვაქვს საკუთარი ხაზინა. არა, უკაცრავათ, ჩვენ გვაქვს ხაზინა, მაგრამ, როცა მის გამდიდრებაზე ჩვენ არა ვზრუნავთ, სჩანს ის ჩვენ საკუთარ ქონებათ არ მიგვაჩნია. სამართლე მოითხოვს ვაღიაროთ, რომ დღემდეც საქართველოს რესპუბლიკის ხაზინა ბონების მომჭრელ მანქანის მუშაობაზეა დამყარებული. ზოგს ასე გონია: საკმარისია სახელმწიფოს ქონდეს ფულის გამოცემის უფლება, რომ მან გამოუშვას ფული იმდენი, რამდენიც მას მოესურვება, უსაზღვრო, უანგარიშო. ეს რომ ასე იყოს, არც ჩვენს ქვეყანას გაუჭირდებოდა რამე, მაგრამ ეს ასე არ არის.

ფული, როგორც საქონლის გაცვლა-გამოცვლის საშუალება, მისი ღირებულების ამანაზღაურებელი, საკუთარი მეურნეობის დარგს წარმოადგენს სახელმწიფოში. როგორც კერძო პირი არ უნდა სცემდეს თავის ქონების ღირებულებაზე მეტს ვექსილს, ისე სახელმწიფოც არ უნდა უშვებდეს იმაზე მეტ ფულის ნიშნებს, რასაც მისი საერთო ნაციონალური წარმოება ვერ აიტანს ღირებულებით. ამ მხრივ ჩვენი საქართველო მხოლოდ ეხლა დგება ფეხზე, მას საკუთარი წარმოება მხოლოდ ეხლა ესახება, მის ხაზინაში ფული ძლიერ ზანტად შედის. ამ უკანასკნელ წლებში ხალხი თითქოს გადაეჩვია გადასახადს. ხარჯი კი აუარებელი აწევს ხაზინას: მთავრობის, პარლამენტის, ჯარისა და გვარდიის შენახვა. გარეშე მტრებისგან საზღვრების დაცვა, ანარქიასთან ბრძოლა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს.

ასეთს ყოველმხრივ კრიტიკულ მომენტში უხდება ერობას თვისი მუშაობის დაწყება. რით უნდა აწარმოოს ერობამ თვისი მუშაობა. ხოლერა რომ გაჩნდა, ნასესხები ფულებით შეებრძოლეთ მას, მაგრამ მუდამ სესხით ხომ ვერ ვიცხოვრებთ! საერობო თანხები და ქონებანი ჩვენში თითქმის არ მოიპოვებიან, ხაზინაც უზომო კრიტიკულ მდგომარეობაშია. ასეთს პირობებში ერობას ვისი იმედი უნდა ქონდეს, ან სახელმწიფომ როგორ უნდა განაგრძოს არსებობა?

წინათ, როცა ძველი სახელმწიფოს წყობილებას ვებრძოდით, მაშინ მისი ხაზინის დასუსტებასაც ვცდილობდით, რადგანაც მაშინდელი ხაზინა ხალხის საწინააღმდეგოთ იხარჯებოდა. ამიტომ იყო დრო, როდესაც მოგიწოდებდით გადასახადის გადაუხდელობისაკენ, მაგრამ დღეს, როცა საკუთარი საქართველოს რესპუბლიკა და ერობა გვაქვს, როცა ამ ხალხის ნებით მოელინებულ რესპუბლიკასა და ერობას დაბადების უმალ სიკვდილი მოელის, ჩვენ არ შეგვიძლია არ მიუთითოთ ამ გარემოებაზე ჩვენი ფხიზელი კუთხის შვილთ და არ უთხრათ, რომ ერთად ერთი ხსნა რესპუბლიკის ხაზინისა და ერობის კასის გაღონიერებაშია.—

მძიმე წუთები გადალახულია, პოლიტიკური ცისკიდური უფრო მოწმენდილია ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოთ. ყველაფრიდანა სჩანს, რომ მომავალი ღიმილით გვეგებება და თუ არ გვინდა სამუდამოთ, დაუბრუნებლათ, დავლუპოთ ჩვენი ერი და მისი დამოუკიდებლობა, უნდა შევიტანოთ ხვედრი გადასახადი რესპუბლიკის და ერობის კასაში. მტკიცედ და შეურყევლად გვახსოვდეს, რომ ყოველი გროში გადამხდელის ჯიბიდან ამოღებული, მასვე დაუბრუნდება უკან გაორკეცებულათ სახელმწიფო თუ საზოგადო კეთილმოწყობილების სახით. ამის თავმდები ჩვენი დემოკრატიული წყობილებაა. უკვე განაწილებული ერთდროული გადასახადის ხაზინაში დაგროვება ასწევს ჩვენი ფულის კურსს და გაანელებს სიძვირეს—რამდენიმეთ მაინც. სანიტარული გადასახადის ერობის კასაში შეტანით ოდნავ მაინც შეუმსუბუქდება ერობასა და თემს მძიმე მდგომარეობა და ამით მიეცემა ძალა და სიმტკიცე სამშვიდობოსკენ მობრუნებულ ჩვენს ქვეყანას და მის თავისუფლებას.—

ᲕᲘᲫ. ᲦᲚᲝᲜᲢᲘ.

გამგეობის დადგენილებიდან:

— დამტკიცებული იქმნას: 1) ნაყიდობა, მოცემული ერობის გამგეობაზე ამიერ კავკასიის ბანკის გამგეობის მიერ ამ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის დათეშიძის, დირექტორის დუმბაძისა და დირექტორის მოვალეობის აღმასრულებელის თურქიას სახით ამა 1919 წ. 20 დეკემბერის თარიღით, ამ ბანკის მიერ თავის კუთვნილ ხე-ტყის ქარხნის, რომელიც სდგას ქ. ფოთში, ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობისათვის 1.100.000 მანეთად მიყიდვის შესახებ და 2) ხელ-შეკრულება, დადებული ქ. თბილისში ამა 1919 წ. 20 დეკემბერს ხე-ტყის საწარმოვო ამხანაგობის სბროვიაკას თავის რწმუნებულის მიზაევის სახით და ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობის შორის თავის რწმუნებულის შ. ჯოჯუას სახით, რომლის ძალით ზემოაღნიშნული ამხანაგობა ვალდებულია ჩააბაროს ერობის გამგეობას ამიერ კავკასიის ბანკიდან გამგეობის მიერ შეძენილი ხე-ტყის ქარხანა ყველა მისი ნაწილებით მთლიანად იმ სახით, როგორც ამათ უშვებს მანქანათა დამმზადებელი ფირმა და ერობის გამგეობა კი უხდის ხსენებულ ამხანაგობას 800,000 მანეთს, რომელთაგან 400,000 მანეთს აძლევს ქარქხნის ჩაბარების დროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაიდოს ზემოაღნიშნული ქარხნის შესაძენათ 1.900.000 მან. და 26.000 მან. ხსენებულ ქარხნის ნაყიდობისა და ამხანაგობა სბროვიაკასთან დადებულ ხელ-შეკრულების დამტკიცებისაგან გამოწვეულ ხარჯებისათვის.

— ახალ შემდგარ ხევის თემის გამგეობას მიეცეს 3.000 მან. მოსაწყობი ხარჯებისათვის.

— ხე-ტყის საწარმოო ქარხნის ხელმძღვანელობა დაევალოს გამგ. წევრს შ. ჭოჭუას.

— განთავისუფლებულ იქმნას ჩოხატაურის პუნქტის ბებია-ქალი-მესხი 20 დეკემბრიდან და ამავე რიცხვიდან მის ადგილზე დაინიშნოს ბებია-ქალი კალანდაძე.

— საჭამიასერის პუნქტზე დაინიშნოს ფერშალი მეგრელიშვილი 15 დეკემბრიდან.

— უარი ეთქვას ძიმითის თემის გამგეობას სანიტარული გადასახადის ერთი თვით გაგრძელებაზე.

— დამტკიცდეს ხვარბეთის თემის გასაღლის ხარჯთ-აღრიცხვა გარდა მე-8 მუხლისა (ერთდროული დახმარება მდივანს 500 მან).

— მიეწეროს ბახვის თემს ის ნაწილი დუაბზუს თემისა ს. ვაკიჯვრიდან, რომელიც ამას მოითხოვს; ასევე ეფოდ გაიგზავნოს ინტენერი კუზნეცოვი საზღვრის გასაყვანათ, ბახვას და დუაბზუს თემთა გამგეობის წარმომადგენლების თანდასწრებით. ხელმძღვანელობა ამ საქმისა მიენდოს გამგ. წევრს კ. ქავთარაძეს.

— ზემოხეთის თემი გაიყოს ორათ: ზემოხეთისა და საჭამიასერის თემებათ. ზემოხეთის თემში დარჩეს შემდეგი სოფლები: ზემოხეთი, კვირიკე, წიალამანი და კალაგონი. დანარჩენი სოფლები შევიდეს საჭამიასერის თემში. ცენტრათ ზემოხეთის თემისა დამტკიცებულ იქმნას ს. კვირიკე, საჭამიასერისა კი — ს. საჭამიასერი. ზემოხეთის საბჭო შესდგეს 20 ხმოსნისაგან, რომელთა არჩევნები დაინიშნოს 4 იანვარს. ადგილობრივათ შესდგეს საარჩევნო კომისია, რომლის თავმჯდომარეთ დაინიშნოს მასწავლებელი ტიტე თევზაძე.

— 4 იანვრისათვის მოწვეულ იქმნას საგრარიო კომისიის თითო წევრთა და მდივანთა თითბირი შემდეგი მუშაობის გეგმის გამოსამუშავებლათ და დირექტივების მისაცემათ; ამ დღესვე მოწვეულ იქმნას მასწავლებლები თემიდან თითო სტატისტიკური ცნობების შეგნების ტუხნიკური მხარის შესახებ ინსტრუქციების მისაცემათ.

სტატისტიკური ცნობების შეკრება გურიაში მიწათ-მფლობელობის შესახებ დაევალოს სტატისტიკურ განყოფილებას საადგილ-მამულოს დახმარებით. გადაიდოს ამ მიზნისათვის 50,000 მან. —

— გადადებულ იქმნას ოზურგეთის მაზრაში სიმინდისა და ლობიოს შესაძენათ 500.000 მანეთი.

— დაქირავებულ იქმნას ქ. ლანჩხუთში განსაკუთრებული შენობა სურსათის საწყობისათვის.

— მაზრის მილიციის უფროსს გერ. ლლონტს მიეცეს ერთი თვის დასვენება 1920 წლის 1 იანვრიდან და ამავე რიცხვიდან მაზრის მილიციის მოვალეობის დროებითი აღსრულება დაევალოს მილიციის უფროსის თანაშემწეს ლ. თაყაიშვილს.

— ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ სად უმჯობესია, რომ მაზრაში დაჯდეს მეორე გამომძიებელი, ერობის გამგეობამ უპასუხა: ადგილობრივი ინტერესები მოითხოვენ, რომ მაზრაში იყოს არა ერთი, არამედ უსათუოდ სამი გამომძიებელი, რომელთაგან ერთი უნდა იჯდეს ოზურგეთში, მეორე ჩოხატაურში და მესამე ლანჩხუთში.

— გამგეობამ სთხოვა უბნის მომრიგებელ მოსამართლეთ, რომ მათ მოაწყონ საქმის გარჩევა თავიანთ რაიონების სხვა და სხვა კუთხეში ადგილობრივი საჭიროების მიხედვით, ამავე საგანზე სთხოვა მაზრის მომრიგებელთა ყრილობის თავმჯდომარეს სათანადო განკარგულების მოხდენა მისდამი რწმუნებულ მაზრის მომრიგებელ მოსამართლეთა მიმართ.

საქიმო ნაწილი.

ინსტრუქცია თემმეგისთვის

1, ექიმობა უფასოა და საექიმო პერსონალს არა აქვს უფლება რაიმე სახით გასამრჯელოს აღებისა.

2, საექიმო და საფერშლო პუნქტზე ავათმყოფთა მიღება 9—2 საათამდის სწარმოვმს; ამ დროის განმავლობაში პერსონალს არ აქვს უფლება დასტოვოს დაწესებულება, თუ რაიმე განსაკუთრებული მიზეზი არ მოითხოვს.

3, პუნქტზე მიყვანილ მძიმე ავათმყოფებს დახმარება უნდა მიეცეს ყოველ დროს.

4, ფერშალი მიდის ავათმყოფთან ავათმყოფის ბინაზე, ან ექიმის დავალებით.

5, ექიმი ავათმყოფის ბინაზე მიდის აუცილებელ შემთხვევაში

შენიშვნა: 1, ექიმი ვალდებულია აუცილებლათ წავიდეს ავათმყოფის ბინაზე; ა) პატოლოგიურ მშობიარობის დროს ბებია-ქალის მოწვევით; ბ) უეცარ სისხლის დენის დროს, გ) მოწამლვის დროს და დ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც ფერშლის ჩვენებით ავათმყოფის საშიში მდგომარეობა ხელს უშლის მის პუნქტზე მიყვანას.

შენიშვნა: 2, როგორც ექიმთათვის, აგრეთვე და-

ნარჩენ პერსონალისათვის ავათმყოფთან გაწვევის დროს ცხენი ავათმყოფის პატრონმა უნდა მოიყვანოს

6, უბანში მყოფი აფთიაქები პუნქტის ექიმის ზედამხედველობის ქვეშ არიან და ექიმი ვალდებულია დროგამოშვებით მათი რევიზია აწარმოვოს და სარევიზიო აქტი საექიმო განყოფილების გამგეს წარუდგინოს.

7, თავიანთ უბნის გარე მცხოვრებ ავათმყოფთა გასინჯვა პერსონალის ვალდებულებას არ შეადგენს.

8, ავათმყოფები საავათმყოფოში დასაწვენათ მიიღებიან ყოველ დროს.

9, საავათმყოფოში მიიღებიან დასაწვენათ ექიმის მიერ ისეთი ავათმყოფები, რომლებიც ექიმის შეხედულებით დაწოლას საჭიროებენ.

10, გადამდებ და განუკურნებელ სენით შეპყრობილნი საავათმყოფოში არ მიიღებიან.

ერობის გამგეობა.

თ ე მ თ ა მ ი მ ა რ თ.

თემის ე. ი. ჩვენი რესპუბლიკის მმართველი და თვითმმართველი ძირითადი ორგანიზაციის შესაფერათ მოწყობა იმდენათ ძნელი საქმეა, რომ ის აღემატება არა თუ კერძო პირის, არამედ ჯგუფის შესაძლებლობასაც. მართვა და თვითმართვა ხელისუფლების საკითხია—და ეს უფლება კი ისეთი რამაა, რომელიც არც იჩუქება, არც მოიძიება. საზოგადოებამ, ხალხმა, კერძო პირმა საკუთარი ძალღონით უნდა გასჭედოს ეს თავისუფლება. უნდა სამუდამოთ გამოვეთხოვოთ აზრს: მოვლენ და გვიპატრონებენო. ილია ჭავჭავაძემ დიდი ხანია გვასწავლა: თავნი თქვენნი ტანსა გეყუდნესო. დროა დავიდგათ თავები ჩვენს ტანზე და არა მარტო ვიაროთ ფეხით, ჭკუითაც ვზომოთ. ჩვენი საზოგადო ცხოვრების მოჭირისუფლე ინტელიგენციის თავებში დაგროვილ ცოდნა-გამოცდილებას მარტო ის შეუძლია, რომ გაგვაცნოს, რა არის საუკეთესო ჩვენზე დაწინაურებულ ქვეყნებში. ეს თავის თავათ დიდი საქმეა, მაგრამ, რომ სხვის ტანზე გამოჭრილი თარგი ჩვენს სხეულს მოადგეს, ამისათვის საჭიროა ჩვენი ადგილობრივი სინამდვილის გათვალისწინება, თარგის წინასწარ მორგება, თვით ჩვენი სხეულის ამოძრავება. ცენტრებში და სამაზრო ერობებში, დაგვერწმუნეთ, დიდს შრომობენ თემთა საკეთილდღეოთ. გვწამს, თვით თემებშიაც ოფლს ღვრიან, წელებზე ფეხს იდგამენ, რომ გაიკვლიონ გზა და მართონ საკუთარი საქმეები, მაგრამ, რომ ამ შრომამ და ჯაფამ შესაფერი ნაყოფი გამოიღოს, აუცილებლათ საჭიროა ერთი მეორესთან მჭიდროთ დაკავშირება. კანცელარია ვერ დააკავშირებს სამაზრო ცენტრს პერიფერიებთან. უამკავშიროთ კი ჩვენი საქმე არ მოგვარდება. „მოამბე“-მ უნდა გაა[illegible]. ის უნდა გახდეს თქვენი გულის მთხრობელი.

სწერეთ მას თქვენი საჭიროება, თქვენი გასაჭირი. სწერეთ სრულებით მოურიდებლათ სტილის მხრივ ჩვენ ფაქტი გვაინტერესებს. დაგვისვით თქვენთვის საჭირო კითხვები, რაც ვიცით, გიპასუხებთ. რასაც საკუთარი ძალით ვერ გავიკლევთ, სხვებს დავიხმარიებთ. ამის თქმა ჩვენ არ გვცხვენია და ამ ნაირათ ჩვენც ვისწავლით, თქვენც მოგეშველებით და შეერთებული ძალღონით გავიკაფავთ ეკლიან გზას.—

რედაქცია.

კითხვა—პასუხი

კ ი თ ხ ვ ა. —ძველი წყობილების დროს გლეხის ობლებს სოფლის საზოგადოება უნიშნავდა აპეკუნს. დღეს ყრილობის ადგილი დაიკავა თემის ხმოსანთა საბჭომ, მაგრამ აპეკუნის საქმეს ის არ ეხება—გთხოვთ გვაცნობოთ, ვისი საქმეა აპეკუნის დანიშვნა.

პ ა ს უ ხ ი.—საქართველოს რესპუბლიკის კანონით წოდებრივი უპირატესობანი გაუქმებულია. ამიტომ ყოფილ გლეხთა ობლებზე და ქონებაზე აპეკუნის დანიშვნა შეადგენს უბნის მომრიგებელ მოსამართლის მოვალეობას, რომელიც ძველათ უნიშნავდა აპეკუნს უპირატესობით აღჭურვილ წოდებას.

განცხადება

ქალ. ოზურგეთში არსებული დრამატიული საზოგადოების გამგეობა პარასკევს, 2 იანვარს, საღამოს 8 საათზე ინტერ-პარტიულ კლუბში აწყობს „მსახიობის დღეს“ შემდეგის პროგრამით: წაიკითხება მოხსენება „მსახიობის დღის“ მნიშვნელობაზე; წარმოთქმულ იქნება მისასალმებელი სიტყვები, წაიკითხავენ გურულ სცენებს დ დაუკრავს სამხედრო მუსიკა. საღამოზე დამსწრეთ დაურიგდება ამ დღისთვის თბილისიდან სპეციალურად მიღებული სურათები და გაზეთი „მსახიობის დღე“.

დრამატიული საზოგადოების გამგეობა.

რედაქტორი—კოლეგია.
გამომცემელი—ოზურგ. სამაზრო ერობის გამგეობა.

სტამბა ალექსანდრე კალატოზოვიშვილისა ქ. ოზურგეთში